29
1919
№ 29

„საქართველო ჯერ ქართველებისათვის!“

ს ა ლ ი კლდე

ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ორშაბათი
ივნისის 23.
(ივნისის 10)
1919 წელი.
№ 53.
ფასი 3 მან.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 35 მ. ნახევარი წლით 20 მან. | სამი თვით 15 მან. | ერთი თვით 5 მან.

ყოველ-კვირეული საორგანიზაციო გაზეთი
სალი კლდე

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კანტორა ქართულ ქარვასლაში, სახაზინო ქ. № 3.

ტელეფონი № 18—31. (19—66)

## შინაარსი

დ. ვაჩნაძე. საქართველო და აზია.
რ. გაბაშვილი. ინგლისური სადემარკაციო ხაზი.
ი. გველესიანი. დენიკინის მოწოდება ბათუმში.
პროფ. მაჭავარიანი. „კლდე“ და „საქართველო“.
ი. დადიანი. დენიკინი და ჩვენ.
ბ. ფარცვანია. მოზის ახალი კანონი.
კორესპონდენცია. ახალქალაქიდან.
იმერეთიდან.
ბორჯომიდან.
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში, სოხუმის ოლქში და თიანეთისა, დუშეთისა და ლეჩხუმის მაზრების მთიან ნაწილებში (ხევსურეთ-მთიულეთ—სვანეთში) დანიშნულია აგვისტოს 10 (ძველი სტილით ივლისის 28).

ვთხოვთ ჩვენს თანამოაზრეთ, რომელთაც კავშირი აქვთ ამ კუთხეებთან, ან და მიემგზავრებიან იქით, და საერთოდ რაიმე დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ დამატებითი არჩევნების დროს, განაცხადონ ეს ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტში („კლდის“ რედაქციის ბინაზე, ქართულ ქარვასლაში).

### ჩვენს თანამოაზრეთ ვთხოვთ დაეხმარონ გაზ. „კლდის“ ფონდის გაძლიერებას.

„კლდის“ რედაქცია სთხოვს პროვინციაში მყოფ პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ მოგვწერონ კორესპონდენციები ადგილობრივი ცხოვრების შესახებ;

კორესპონდენტებს გაზეთი უფასოდ გაეგზავნებათ.

ევროპიულ-კავკასიური საუწყრო ბანკი ყოფილი
გერმანულ-კავკასიური ბანკი
განაგებს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით
ნაღდ ფულზე

თფილისი 23 ივნისი.

## საქართველო და აზია.

ნუ დაჰკარგამ ძველსა გზასა
ნურცა ძველსა მეგობარსა.

1919 წელსა, თიბათვის 26 დღესა, ქ. თფილისში საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობათა შორის სამის წლის ვადით დადებულ იქმნა ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლი ამბობს:

„მოკავშირე სახელმწიფონი (საქართველო და აზერბეიჯანი) მოვალენი არიან შეერთებულად, მთელი თავისი შეიარაღებულ ძალებით და სამხედრო საშუალებებით წინაღუდგნენ ყოველ თავდასხმას, რომელიც ემუქრება ერთ-ერთ ან ორივე მოკავშირე სახელმწიფო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხლებლობას“.

ეს აქტი დიდი გამარჯვებაა ჩვენი ნაციონალურ პოლიტიკისა. მენშევიკური დიპლომატია რუს-სომხურ ბანაკში ერთი წლის განმავლობაში უშედეგო ხვეწნით და ხეტიალით ილაჯ გაწყვეტილი და დენიკინის მუქარით დამფრთხალი ბოლოს და ბოლოს მიუბრუნდა მუსულმან ერებს და სამეგობროდ ხელი გაუწოდა.

ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით, რომ რუსეთის საფრთხის მოსაშორებლად და საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის დაცვისათვის აუცილებელია მეზობელ მუსულმან ერების მეგობრობა და დახმარება. რომ ჩაჩნეთ-დაღესტანის და აზერბეიჯანის ხალხები ამ მხრივ ერთად ერთი საიმედო მოკავშირენი იქნებიან საქართველოსი.

რაც უნდა მწარე დღეება მოგვაგონოს ჩვენმა აზიურმა წარსულმა, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ პატარა საქართველოს სახელმწიფოს ხომალდი ჩვენს წინაპრებს მრავალი საუკუნე მუსულმანთა აზვირთებულ ტალღებში უტარებიათ და მე 19 საუკუნის კარამდის მიუყენებიათ. ეხლა აღარაა საიდუმლო, რომ შახ-აბასების და მამად-ხანების მიერ საშინელი აწიოკება საქართველოსი გამოწვეული იყო რუსეთის მთავრობის ვერაგულ პოლიტიკით. რუსეთს საქართველო უქართველებოდ ესაჭიროებოდა. ამიტომ იყო როცა მოსკოვში ან თფილისში რუსი დიპლომატია არწმუნებდა ქართველებს რუსეთის მფარველობის სიკეთეში, იმავე დროს თეჰერანში და სტამბოლში პროვოკაციულად აქეზებდა სპარს-ოსმალოს „მოღალატე“ საქართველოს წინააღმდეგ და როდესაც მოტყუებული საქართველო ომის ცეცხლის ალში გახვეული მოელოდებოდა „მფარველ“ რუსეთის მაშველ ჯარს, ეს უკანასკნელი ან იგვიანებდა ან და გახურებულ ბრძოლის დროს უცბად სტოვებდა ქართველებს მარტოკად მრავალ რიცხოვან და გაბრაზებულ ურდოების ანაბარად. მოქანცული ორ ფრონტზე ბრძოლით საქართველო წაიქცა. რუსეთი ზეიმით შემოჭრა დარიალით, და საქართველოს გზით შეუტია მუსულმანებს: მოკაკვა სპარსეთი, მოხარა ოსმალეთი.

მხოლოდ ამ მსოფლიო ომის პროცესში, როდესაც რუსის ყაზახების ტალღებმა ზედ გადაუარეს მთელს მცირე აზიას და მიადგნენ მესოპოტამიის ველ მინდვრებს, მუსულმანობამ ნათლად იგრძნო თუ რა შემცდარი იყო მათ წინაპართა პოლიტიკა თავისუფალ საქართველოს მიმართ და რა შედეგი მოჰყვა ქართველთა ბუფერის სახელმწიფოს მოშლას.

იმავე დროს თვით ქართველებში გაიღვიძა სურვილმა წარსულ მწარე დღეების მივიწყებისა და რუსეთის მონურ უღლისაგან განთავისუფლების წინა ჟამს კვლავ გაიხსენა მეგობარი მუსულმანობა, რომელიც ელოდა მას გაწვდენილ ხელით.

მაგრამ რუსეთის რევოლუციამ და ამიერკავკასიაში დატრიალებულ რუსულ ბოლშევიკურ სოციალისტურ ქარბუქმა, გახვეულს ძველ რუსულ იმპერიალისტურ ლოზუნგებში: „ერთიანი რუსეთის რესპუბლიკა“, „ერთიანი რუსული დემოკრატიული ფრონტი“ და სხვა რომლის ქსელში გაება ქართველობა ქართველ სოციალისტების წყალობით, იმდენად არია მონასტერი, რომ ბუნებრივი მეგობარი საქართველოსი მტრად ევლინებოდა და მტერი კი მეგობრად. მაგრამ ყველა ამას ბოლო მოუღო ევროპის შემოსვლამ საქართველოში. რუსულ პუგაჩევურ სოციალიზმით მოშხამული ჰაერი გაიწმინდა. რუსული ლოზუნგები და დროშები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს გადასცილდა და გამოჩნდა დამოუკიდებელ საქართველოს ნამდვილი მტერ-მოყვარენიც.

ინგლისის პოლიტიკამ ხომ აშკარად გვანახვა ვისთან უნდა ყოფილიყო საქართველო ეროვნულ თავისუფლების დაცვის ჟამს. ჩვენსავით არა ნაკლებ შეწუხებულ თავისუფლების მოყვარე მუსულმან ერთა მჭიდრო კავშირი საქართველოსათვის ერთად ერთი პოლიტიკურ აქტივად მოევლინა და მაგარი ქართულ მუსულმანურ კედლის აღმართვა სლავიანთა გაუმაძღარ ბრბოებს და ევროპიელ სახელმწიფოთა ინტრიგების წინააღმდეგ, რომელიც სცდილობენ პატარა ისტორიულ ქვეყნის რუქიდან წაშლას, მორიგ საქმედ გადაიქცა. ამას გარდა 300 მილიონ მუსულმანურ აზიასთან ჩვენ გვაკავშირებს გეოგრაფიული მდგომარეობაც რომელსაც ჩვენ ვერ გავექცევით. ამასთანავე ანგარიშს უწევთ იმ მრისხანე ქუხილს რომელიც დღეს მოისმის შორეულ აზიიდან. იქიდამ ისმის ხმა ბორკილების მსხვრევისა. ინდოეთი, ავღანეთი, ეგვიპტე სპარსეთი წყლში სწორდებიან, ირაზმებიან და მხარში უდგებიან შეურაცხყოფილ და პარიზის კონფერენციით დასახიჩრებულ ოსმალეთს. აზია ღელავს და ბრაზმორეული ევროპას სამაგიეროს გადახდას უპირობს. აწყობს თავის სტიქიონს რუსეთ-ევროპის მიმართულებით ერთს უშველებელ კალაპოტში. ერთი შტო ამ კალაპოტისა კავკასიისკენ მოემართება მაშინ ხომ ბოლშევიზმით გახრწნილი რუსეთი და ერთმანეთში ბრძოლით, დასუსტებული ევროპა ველარას უშველის. ამიტომ იყო რომ ქართველი ხალხი მუდამ ხელმძღვანელობდა თავის ძველ ლოზუნგით: ნუ დაჰკარგამ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.

საქართველოს დღევანდელ „ამსტერდამულ“ მთავრობამაც ვერ აუხვია ამ „ძველსა გზასა და ძველსა მეგობარსა“ და გაჭირვების ჟამს მიუბრუნდა აზიას და ჩამოართვა ხელი მუსულმანებს და არც შემცდარა.

აზიას და მუსულმანებს თავისუფალი საქართველო მრავალი საუკუნე შეუნახავთ, ქრისტიან ევროპას კი ექვსი თვეც ვერ მოუნელებია მისი დამუკიდებელი არსებობა.

დ. ვაჩნაძე.

## ინგლისური სადემარკაციო ხაზი

პირველი შემთხვევა არ არის, რომ ინგლისიდან (?) მოდის ბრძანება ჩვენი და ჩვენი მტრების შეჯახება შეჩერებულ იქმნას და აღიმართოს „გარდაუვალი“ სადემარკაციო ხაზი სწორედ მაშინ, როცა ქართველი მხედრობა მზათაა აღაგმოს მომხდურთა თავხედობა. ესეთი თამაში კატა-თაგვისა უკვე სისტემად გადაიქცა და ჩვენს გულუბრყვილო მეთაურ ხალხს ავიწყდება, რომ თაგვს ბოლოს მაინც შესჭამს ხოლმე კატა.

ქართველი ერის გულისყური უკვე ერთხელ მაშინ მიაძინეს, როცა აჰვირთებული ხალხი მიდიოდა სომხების წინააღმდეგ და ინგლისმა (?) გაავლო ჩვენს შორის სადემარკაციო ხაზი. ამით ჩვენ წავაგეთ, ჩვენმა მტრებმა მოიგეს.

შემდეგ ესევე მოხდა სოხუმის ოლქში: ჩვენს ჯარს და გვარდიას აფერხებდნენ ინგლისის „უპასუხისმგებლო“ ოფიცრები და შემდეგ კიდევ ინგლისიდან (?) მოვიდა ბრძანება: დაგვედო მდინარე ბზიბზედ სადემარკაციო ხაზი, როცა ჩვენ შეგვეძლო გაცილებით უფრო შორს ჩრდილოეთით. ამით ჩვენ წავაგეთ, ჩვენმა მტრებმა მოიგეს; და ჩვენი პარლამენტის საკუთარ ღირსების არა მცოდნე პრეზიდიუმმა ამ სამარცხვინო საქმეში მადლობაც გადაუხადა.

ასევე დაგვემართა „ახალციხის ავანტიურისტ ბეგებთან შეტაკების დროს“, სოციალ-დემოკრატიულ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ. მართალია, ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა წინააღმდეგობა გაუწია ასეთ თავხედობას და არტაანსაც გადააცილა თავისი სუსხიანი ძალა, მაგრამ შემდეგ ჩვენმა უმგვანმა დიპლომატიამ და საქმეთა გარეშე სამინისტრომ ეს ძალაც გააბათილა და მთელი ჩვენი ღვიძლი არტაანის მხარე სომხებს დარჩათ ინგლისიდან (?) ბრძანების მიხედვით. კიდევ ჩვენ წავაგეთ ჩვენმა, მტრებმა მოიგეს.

ჩვენ აღარას ვამბობთ იმ უთვალავ ქონებასა, ფულსა და სისხლზედ, რომელიც დაიხარჯა ამ „ომებზედ“, რადგან ჩვენს დემოკრატიულს მთავრობას არაფერში ენაღვლება მუქთად, გაურჯელად ხელში ჩაგდებული ფული, ქონება და დემოკრატიის, ხალხის სისხლი. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ომების სისტემატიურ ლიკვიდაციას, რომელიც თავდება ჩვენ საწინააღმდეგო სადემარკაციო ხაზის გავლებით. არც ერთ ასეთ ხაზს ჩვენ ვერ გადავცდენივართ და ჩვენი მტრები კი ყოველთვის. მაგალითი დაღესტან მთიელებისა უაღრესად საშიშროებას წარმოადგენს: იქაც ინგლისმა (?) გაავლო „სადემარკაციო ხაზი“ და დღეს მათი რესპუბლიკა აღარ არსებობს. ასევე შეიძლება მოუხდეს საქართველოსა და ადარბადაგანს. დღეს, როცა ჩვენმა მტრებმა დაინახეს რომ ბრძოლა საქართველოსთან მათ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არც ისეთი ადვილია, კიდევ გვესმის ინგლისური სადემარკაციო ხაზის ბრძანება და შიში გვიპყრობს და არა სიხარული, როგორც უდღეურ და უნიათო სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მაშინვე მიაძინებს ხალხის ყურადღებას რევოლიუციის ნაქურდალი მონაპოვრებში.

ეს სადემარკაციო ხაზი სალტასავით გვექირება გარშემო და როცა შიგნიდანაც ბევრი გამხრწნელი მასალა მოგროვდება, როგორც სომხები, ბოლშევიკები, რუსები და ათასი სხვა ჯური, როგორც უვარგისი მძოვრი—დავიფუშებით.

ამდენი მაგალითიდან რეგვენიც კი მიხვდებოდა თუ რაშია საქმე. ამბობენ რომ „ჭკუას მაიმუნებსაც კი ასწავლიან მაგალითებითაო“ და ეს ხომ ყველამ [illegible] ასწავლეს და ნუთუ ჩვენი სოციალ-დემოკრატია მაიმუნზედაც უგუნურია და ჭკუას ვერ ისწავლის?

რ. გაბაშვილი

## დენიკინის მოწოდება ბათუმში.

დენიკინის ჯარის მოწოდების შესახებ მინდა პატარა ცნობა მოგაწოდოთ. მე მწუხარებას ვაცხადებ და ვწუხვარ, რომ ამ სამარცხვინო ამბის მოწმეთ გავხდი ჩემი ბათუმში 15 დღის ყოფნის დროს. ეს სირცხვილი მით უფრო გაათკეცებული შეიქნა, როდესაც შევიტყვეთ და დავრწმუნდით, რომ იმ ვერაგულ მოწოდების ავტორი იყო ქართველი მხედარი გვარათ ნატიევი, ესეიგი ნათაძე და აი ამან გამოიწვია ჩვენი უსაზღვრო მწუხარება და სირცხვილი. შეიძლება გამცემლები და მოღალატენი ბევრი გვყავდეს, მაგრამ ასე აშკარათ, გაუწითლებლივ მოწოდების ავტორობით მეტად სამარცხვინო საქმეს ჩავდივართ და დიდათ დამალონებელია, იქ ამასთანავე ჩვენი აფიცრობაც ვნახეთ, რომელნიც ეწერებიან დენიკინის ჯარში, რაც თავს ზარსა სცემს ეს სამარცხვინო საქციელი ბათუმის ქართველობას და მე მთხოვეს მეცნობებია აქაურ საზოგადოებისათვის, რასაც ვასრულებ და ვაწვდი შეძლების და გვარათ რედაქციას. ერთი ჩემი ახლო ნაცნობთაგანი შეეკითხა ერთს შორე-ახლო მდგომ თავის ნაცნობ ქართველს ოფიცერს „არტელის“ სასადილოში, თუ რამ აიძულია ის ჩაწერილიყო დენიკინის ჯარში თავისავე ხალხის წინააღმდეგ და ან რათ იკისრა ამნაირი ხალხისათვის დამამცირებელი ამბავი და ან რა დაუშავა მას ჩვენმა ქვეყანამა და ხალხმა. ოფიცერმა ცოტა უხერხულობა იგრძნო და შერცხვა და მერმეთ თვალების ძირდაშვებით უპასუხა:

„თქვენ კიცხავთ და სჯით ჩემსა და ჩემი ამხანაგების მოქმედებას და შეიძლება თქვენ ათასჯერ მართალნი იყვნეთ, მაგრამ სხვის გულშიაც ღრმათ უნდა ჩაიხედოთ და ისე გაასამართლოთ დამნაშავე. გასამართლება და დასჯა და გაკიცხვა ადვილია, მაგრამ რამდენათ სამართლიანია ის, ისიც უნდა ვიცოდეთ და ისე გავასამართლოთ ადამიანი. თქვენ მე კარგათ მიცნობთ და ისიც იცით, რომ მე თავადიშვილი არა ვარ, უბრალო ღარიბი გლეხის შვილი ვარ და შეიძლება არა ნაკლებ სხვაზე მიყვარდეს მე ჩემი ხალხი და ქვეყანა, მაგრამ იცოდეთ გარემოებას ყველაფერი შეიძლია და ნურავინ ნუ დაიჩემებს გმირობას, რომ გარემოებას გაექცეს. მეც ვერ გავექეცი იმ უბედურს გარემოებას და მეც იმ გარემოების მსხვერპლი ვარ. მე ჩემს გარემოებას ვერ აგიხსნით, ხომ იცით, სული ტკბილია. ნათქვამია: ჯერ თავოდა თავოვო და მერე ცოლოდაშვილოვო და ამიტომ ნურც ასე დამსჯით. მე თვითონ ვებრძოდი თავგამოდებით ძველს წესწყობილებას და ზიზღით უყურებდი ბატონყმურს დამჩაგრელს წესებსო, მტარვალობის და ერთის გაბატონებას მეორეზე და იმისი მონატრული ვიყავი, რომ ხალხს დაეხწია თავი იმ მონობისაგან და მე სრულებით არ წარმომედგენია, ის, თუ მონაობა და ბატონყმობა გაათკეცდებოდა! განა წარმოსადგენი იყო მაშინ ჩემთვის, რომ გუშინდელი მონა გუშინდელსავე ბატონს ბატონათა და მტარვალათ მოევლინებოდა? და განა ეს თავისუფლება არის და თქვენ ამას ეტრფით? განა გუშინდელსა და დღევანდელს ბატონს შორის რა განსხვავებისა ჰპოვებთ? გუშინდელი მონა და ბატონი და დღევან-

[illegible]

მხედარის საყვედური საერთოთ სახელმწიფოებრივ თოუშერიგებლობაზე და კერძოთ იმ უყურადღებობაზე, რომელსაც იგი იჩენს ქართველ ოფიცრების მიმართ.

ყოველ შემთხვევაში ქართულ მთავრობას მართებს საკუთარ სამხედრო ძალების წარმომადგენლებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ი. ი. გველესიანი.

## პრესის მაგიერი.

### „კლდე" და „საქართველო".

საგარეო საქმეთა მინისტრმა, გეგეჭკორმა დამფუძნებელ კრების სხდომაზე განაცხადა:

„იცით თუ არა, რომ თქვენი (ნაციონალ-დემოკრატების) წყალობით მთელი ენერგია ჩვენი მთავრობისა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში უმთავრესად დაიხარჯა იმაში, რო შებრძოლებოდა ერთ საშინელ... ინსინუაციას. იცით თუ არა ეხლა ევროპაში ვის ვებრძვით ჩვენ? „კლდის" წერილს, სადაც ამ ხუთი კაცის ნაწარმოები იყო გამოქვეყნებული. იცით თუ არა ერთ გავლენიან ინგლისურ გაზეთში ყოველ დღე მეორდება ამონაწერი ამ გაზეთისა. „კლდე" კი ერთი ფრთა არის თქვენი პარტიისა"-ო.

ამის გამო თიბათვის ოცის ნომერში გაზეთი „საქართველო" ეხება ჩვენს საგარეო პოლიტიკას და მინისტრის ზემო მოყვანილ სიტყვებს ასე უპასუხებს:

„ჩვენი დელეგაცია აქამდე იმის ცდაში ყოფილა, რომ გაზეთ „კლდის" **რაღაც** წერილის საშინელი შთაბეჭდილება გააქარწყლოს... ბედნიერი ყოფილა ჩვენი სამშობლო და სავსებით უზრუნველყოფილი მისი მომავალი, თუ „კლდის" **უპასუხისმგებლო** წერილის გარდა სხვა არაფერი აბრკოლებს საქართველოს საკითხს პარიზში!

...„კლდის" წერილთან ბრძოლა და ამის გამო მთელი ენერგიის ხარჯვა ეს ხომ „ქარის წისქვილებთან" შეტაკებაა და ნუ თუ ამის მეტი არგუმენტი არ აღმოაჩნდა რესპუბლიკის მმართველს"-ო.

ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატების მიერ ასეთი სახით გამოსვლა ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს. ამ მხრივ ქართველი სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ ბევრ რამეს იტყვიან. ის ხალხი, რომელიც საკუთარ სახელმწიფოს შექმნისათვის ნაციონალისტების ზრუნვას კონტრრევოლიუციათა და ფეოდალობით ნათლავდა; ის მართველი ძალები რომელნიც დღესაც კი სწერენ თავის ოფიციოზ „ერთობაში" შემდეგ „ოქრო" სიტყვებს:

„საქართველოს შესვლას სხვა უფრო ფართე ერთეულში უფრო დიდ სახელმწიფოებრივ ფარგალში, სოციალ-დემოკრატია წინ ერთი წუთითაც არ გადაუდგება"-ო, ჯერ კიდევ ისეთ რამეს იტყვიან, რომელიც შეიძლება ვერც ჩვენთვის ცნობილ ინგლისურ გაზეთის ან თუ გნებავთ დენიკინის რომელიმე უხამსმა კორესპონდენტმაც კი ვერა სთქვას.

ყველაფერი ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ სამწუხაროთ ეს არ იციან გაზეთ „საქართველოს" მწერლებმა, ჩვენმა ყოფილმა თანამგზავრებმა. და ამ შემთხვევაში მხოლოდ სიბრალულის გამოთქმა დაგვრჩენია.

მართალია „საქართველოელები", ისე როგორც ბევრი სოციალ-დემოკრატი, დღეს ყველაფერზე უარს აცხადებენ და იქამდეც კი დავიდნენ, რომ ბ. გეგეჭკორს, ლამის, ნათქვამში დაემოწმონ და წარსული ეროვნული საქმიანობა „ქარის წისქვილთან" ბრძოლათ ჩასთვალონ. მაგრამ იმას ხომ მაინც ვერ უარყოფენ, რომ „სტამბოლის კომიტეტის" ერთი, მართალია უნიჭო და ინტრიგანი, მაგრამ მაინც წევრი დღესაც მათ ამხანაგათ სავარძელში უზით?

როცა ამ გზას სარგებლობა მოჰქონდა, მაშინ გვაზავა, რომელიც დღეს ხმა-მაღლა შეშინებული იფიცება: „ჩვენ ისინი ჩამოვიშორეთო", მათთან ერთად იყო და შედეგებით საკმაოდ სარგებლობდა.

ჩვენ ვაცხადებთ კატეგორიულათ: მაშინ სხვანაირი იყო ხმა იმ დიდი სოციალ-დემოკრატებისაც, ვინც ამას დღეს „ავანტიურას" ეძახის.

„საქართველოელნი", რომელნიც დღეს „კლდეს" უპასუხისმგებლობას უკიჟინებენ, მართალია დიდს გამჭრიახობას არასოდეს იჩენდნენ, მაგრამ „ამდენ ნაციონალისტობისაგან" ის მაინც უნდა ესწავლათ, თუ რა აქტივს წარმოადგენს ასეთი საქმიანობა ერისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის.

„კლდის" წერილებით მომიზეზება, ეს ჩვეულებრივი ფანდია, რომლითაც ბ. გეგეჭკორის დიპლომატობა საკუთარ უილაჯობის გაქარწყლებასა სცდილობს. საქართველოს საგარეო საქმეთა განმტკიცებას ხელს უშლის არა „კლდე" და მისი ჯგუფი, არამედ ის გამუდმებული რყევა და ეროვნული პოლიტიკის არ ქონა, რომელმაც ირ. წერეთელი აიძულა პარიზს გვერდს აეარი და ამსტერდამში მისულიყო.

ჩვენ არ ვმალავთ, თავიდან სეპარატისტები ვიყავით, რუსეთის აქედან გაგდებისთვის მომქმედნი და ახლო კავშირი გვქონდა უბადლო მამულიშვილთა მიხ. წერეთლისა და გ. მაჩაბლის ეროვნულ საქმიანობასთან. ისინი კი ვინც, იქ ინტრიგანობდა და აქ იმის გარდა, რომ თავის ძველ ინტრიგებს აგრძელებს კიდევ უპასუხისმგებლობაზე აბამს სიტყვას, თქვენთვის დაგვითმია.

თქვენ წარსულს აფურთხებთ, აწმყო არა გაქვთ და მომავლის „სავარძლებს" მაინც მოელით.

ჩვენ კი შემთხვევა გვქონდა ალგვენიშნა და ეხლა კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ „კლდის" ჯგუფის არც ერთს წევრს არც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი არ გადაუდგამს საგარეო პოლიტიკის სფეროში, ისე რომ საქართველოს მთავრობისაგან ოფიციალური მანდატი არ მიეღო წინდაწინ. და რადგან დღეს ეს საჭირო შეიქმნა, თუ გინდ იმიტომ, რომ ბოლო მოეღოს სოციალ-დემოკრატების მიერ ჩვენი პატრიოტიზმით სპეკულიაციას, ამ ოფიციალური დოკუმენტების (რომელიც „კლდეს" ხელთა აქვს) ახლომომავალში გამოქვეყნებით შეიძლება დავანახვოთ ყველას თუ ვინ რა როლს თამაშობდა იმ წარსულ მუშაობაში, რომელსაც დღეს ერთნი „ავანტიურას" ეძახიან და მეორენი კი „რაღაცას" და „უპასუხისმგებლობას".

## დენიკინი და ჩვენ.

ფლიგელ ადიუტანტ დენიკინის გამარჯვება ამიერ-კავკასიის თვითმყოფ სახელმწიფოებს სიკვდილს არგუნებს.

ეროვნული სახელმწიფოებრივობა კავკასიის ერთათვის სათაყვანებელი მრწამსი იყო.

კავკასიის ერებმა დამოუკიდებელ მყოფლობის ერთი წელიწადი უკვე გადასცეს ისტორიას.

ამ ხნის განმავლობაში ეროვნულ თავისუფლებას კავკასიის ერებისთვის უნდა ეგრძნობინებია მთელი სიტკბოება, დაეყენებია ისინი ეროვნულ ხელმწიფების გზაზე და შეექმნა მათში დამოუკიდებელი პოლიტიკა-ნებისყოფა!..,

შედეგად ასეთ განცდისა ჩვენ ის უნდა მიგვეღო, რომ ამიერ-კავკასიის ერები რუსულ რეაქციის დასახვედრად ერთად შემტკბარნი თავგანწირულ ბრძოლისთვის მომზადებულიყვენ, ყუბანის „სამოზვანეც" აქილესს ამიერ-კავკასიის ერთა შორის თავდაცვის გაერთიანებული ფრონტი უნდა შეექმნა.

დღეს, ჟამხა საერთო განსაცდელისასა, ამიერ-კავკასიის შიგნითი მდგომარეობა ტრაღი-კომიკურია.

წარსულში ბევრი იხარჯა ენაწყლიანი სიტყვები სომეხ-თათარ—ქართველთა სოლიდარობაზე, ამ ჟამადაც გრძელდება სხდომები კავკასიის ერთა კონფერენციისა, ასეთი კონფერენციები სენია საქართველოს სოციალისტურ მთავრობისა, დრო გამოშვებით იგი იწვევს ამგვარ კონფერენციებს, მაგრამ ეს სხვათაშორის. იმ დროს, როდესაც თეთრ დარბაზში ამიერ-კავკასიის პასუხის მგებელი წარმომადგენელნი ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებიან, ავანსად ნდობას განუზომძებენ, საერთო მტრის წინაშე ერთდებიან, იქ არარატი ნეიტრალობს, მისთვის დენიკინის ჟანდარმული დეზი არაფერია!...

არარატი მთვრალია იმით, რომ 28 მაისს გაერთიანებულ სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა...

ნაციონალისტებს არ გვაკვირვებს სომხეთის პოზიცია.

ის ხალხი, რომელიც ევროპას არწმუნებს, რომ ამიერ-კავკასიაში მისი დამოუკიდებლობა ქართველების საქმე იყო, ხოლო იგი კი იბრძოდა ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობისთვის, ის ხალხი, რომელსაც ფავის თავისთვისაც არ უთქვამს არასოდეს მართალი, ის ხალხი, რომელიც ამიერ-კავკასიაში ჩვენი სახელოვან მეფეების წყალობით სცოცხლობს, მაგრამ ჩვენი მტრობა, მაინც საშვილიშვილო ტრადიციად აქვს გადაქცეული, ჩვენ უკეთესს არაფერს გვეტყოდა...

საქართველოს დასაღუპავად სომხეთი თვით ოსმალეთსაც კი დაუმორჩილდება, თუ ამ უკანასკნელის კეთილშობილებამ შეიგუა ერევნელი ცბიერი.

როგორც ვსთქვით, ჩვენ, ნაციონალისტები, სხვა სიკეთეს არ ველოდით სომხის პასუხისმგებელ წარმომადგენელთაგან.

ახლა ყველაზე საინტერესო ის არის, თუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველო.

და ჩვენ პირდაპირ ვეტყვით ქართველ სოციალისტ კონსულებს: „ნაკლები ნდობა ორგულ მეზობლებს, გახსოვდეთ სანაინ-ბორჩალო-ახალქალაქი, გადასინჯეთ ახალციხის ამბოხების ისტორია!..

დროზე მობილიზაცია მოახდინეთ და ჯარი გააძლიერეთ, ჯარს მოუარეთ.

ნაციონალისტებს გვწამს, რომ კავკასიაში ქართველები იყვნენ პირველები და ვიქნებით კიდეც, უკანასკნელ დროსაც ჩვენ დავარღვიეთ მოჯადოებული წრე და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნას საძირკველი ჩაუყარეთ.

ისტორია დღესაც დიდ როლს გვაკისრებს, ხალხი, რომელიც შარშან მაისში ეზიარა სახელმწიოებრივობას, შეიძლება ჩვენებრ მედგარი დამცველი არ გამოდგეს თავის ქვეყნის, ან ორჭოფმა არარატმა თავიც წააგოს, მაგრამ ათასწლოვან საქართველოსთვის დენიკინის და სხვათა საფრთხეები ეს უბრალო ქრონიკაა!..

საკაძეები კვლავ იბრძოლებენ, დაიხოცებიან, მაგრამ სოციალისტურმა მთავრობამ უნდა დააფასოს სისხლი ქართველისა და შეიგნოს მისია საქართველოსი.

აზიაში საქართველოს მისია არგუნა ისტორიამ...

საქართველო ყველა ერებს მეთაურობს და შავი დღეების დადგომისას ყველას იცავს!..

სოციალისტურმა 8 საათის სამუშაო დღის დარაჯმა მთავრობამ ეს უნდა შეიგნოს.

საქართველო სხვას აღუთქვამს შველას და ბოლოს საქართველო ყველამ რომ მიატოვოს, იგი დამოუკიდებლობის დაცვის ბილიკზე გასალკლდევდება და თუ გადუტყდა ხმალი, იქ ლამაზ სიკვდილით გასწყდებიან რაინდი მხედრები, ახლა გმირ მეფის ერეკლეს წინაშე ერთგულების დამტკიცებას რომ განაგრძობენ!..

ი. დიდიძე.

## მიწის ახალი კანონი.

ბ. ფარცვანიასი

II.

**სახელმწიფოებრივი გარანტია სახელმწიფოს ინტერესებისა ამ კანონის მიხედვით.**

სხვა შესაძლებლობად მიწის კერძო პირზე გადაცემისა შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ანდერძი. მოქმედ მეათე ტომის I ნაწ. 1010 და 1011 მუხ. ძალით მსურველს შეუძლიან თავისი კეთილ-შენაძენი უანდერძოს იმ პირს, ვისაც მოისურვებს. ასეთ ანდერძში შეიძლება მოთავსდეს ფარულის სახით გაყიდვაც, რაიცა შესაბამებული იქნება მეანდერძეს და დანიშნულ მემკვიდრის წინასწარ მოლაპარაკებასთან და შეთანხმებასთან. მაშასადამე, რა კი მოქმედებს ისეთი კანონი, რომლის ძალითაც მეანდერძებს უფლება ეძლევა ვისაც სურს იმას გადასცეს თავისი კეთილ შენაძენი მიწა, აქ ვერც მთავრობა და ვერც სასამართლო ვერ აღუდეგბა წინ მეანდერძესა და მემკვიდრედ დასახულის მოქმედებას და მიწა ერობის შეუკითხავად ამა თუ იმ სახით გადავა საკუთრებად სულ სხვა პირზე.

სხვა მდგომარეობა იქნებოდა მაშინ, რომ კანონმდებელს განესაზღვრა ამ სფეროში სახელმწიფო ფონდიდან მიწის მყიდველის უფლებები. უფლებების განსაზღვრა კი შეიძლებოდა კანონიერის გზითვე სხვა უფლებების მინიჭებით, რომელიც ამავე დროს უზრუნველ ჰყოფდა თვით კანონში ჩადებულ მიზანს. ამავე დროს კანონში არაფერია ნათქვამი მყიდველის შვილთა შორის ასეთი მიწის დაყოფვის შესახებ. იმ აქტში, რომელსაც პირველად შეუსრულებს „ხაზინა" მყიდველს, აღნიშნული იქნება ერთი საზღვრები, ერთი ზომა და მფლობელი-მყიდველი. მყიდველის გარდაცვალებისშემდეგ დანერჩენი შვილები ცხადია მოისურვებენ ასეთმიწის ურთიერთ შორის დანაწილებას მიხედვით მოქმედ სამემკვიდრო კანონისა. შესაძლებელია ასეთი ერთ მთლიან ფარგალში მოქცეული მიწა დანაწილდეს, დაქუცმაცდეს, ხელ ახლად დაისაზღვროს-დაიმიჯნოს ახალ მესაკუთრეთა შორის; ქალიშვილებმა, როგორც მამის კეთილ შენაძენიდან, მოისურვონ თავ-თავიანთი მეშვიდედი ნაწილების გამოყოფა და ყოველივე ამის გამო მთლიანი ნაკვეთი სულ ერთიან თხრილებს მოუნდეს. არ არის კანონში ნათქვამი ასეთი მიწა მემკვიდრეების მიერ ექვემდებარება საზოგადო მფლობელობას და სარგებლობას, თუ შესაძლებელია მისი დაყოფვა, დანაწილება. შემდეგ: საჭიროა თუ არ ასეთ მემკვიდრეებისათვის ერობის გამგეობის ნებართვა, რომ მათ მოისურვონ მიწის გაყიდვა. კანონონში პირდაპირ არის ნათქვამი „მყიდველს შეუძლია ასეთი მიწა გაყიდოს სამაზრო ერობის ნებართვითო." ამ მუხლის გაგება ისეც შეიძლება, რომ მემკვიდრეებს [illegible] გაჰყიდიან მიწას, რადგან მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი არ არიან „მყიდველები" მიწისა სახაზინო ფონდიდან, არამედ ეს მიწა მათ დაუტოვა მამამ სულ მუქთად და მათ არავითარი ვალდებულება არ მიუძღვისთ ერობის გამგეობის წინაშე. თუ მთავრობამ განმარტებებს მიჰყო ხელი, მაშინ თვით ძირითადი კანონები ჩაეფლებიან და დაიფარებიან სენატისებურ „განმარტებებში".

სხვა შესაძლებლობასთან ერთად არ შეიძლება რამდენიმე არ დავასახელო ისეთები, რომლებიც მყიდველს აძლევენ საშუალებას კანონიერის გზით, ახალი კანონების გვერდის აქცევით გაყიდოს ასეთი მიწა. კანონ პროექტში არაფერია ნათქვამი მიწის სხვა პირზე გადასვლა გადაცემის შესახებ, თუ რა წესით შეჩერებულ იქნას „ბოროტმოქმედება" იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად ერობის გამგეობის არსებულ ვეტოისა ამ მიწაზე, მიწის „მესაკუთრე" კანონიერი გზით გამოცემულ ახალ კანონს გვერდს აუხვევს ად მის „საკუთრება" მიწას მთავრობის შეუკითხავად ვისაც უნდა იმას გადასცემს! შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს გამყიდავმა, რომ თითონ გამოიცვალოს, როგორც ფიზიკური მფლობელი მამულისა, მაგრამ თავის ადგილას სამუდამოდ ჩააყენოს სხვა ვინმე. მომქმედ კანონებში მრავალი წესია მიწის გადაცემისა; მათ შორის დავასახელებ ორიოდეს: სასამართლოის და მედიატორული განჩინებით მიწის გადაცემას. მყიდველისა და გამყიდველის თანახმად წინასწარი შეთანხმებისა (რომლებიც სამოქალაქო პროცესში ცხადდებიან, როგორც მომჩივან მოპასუხე), მედიატორე მესაკუთრედ ან უსჯის არა მესაკუთრეს „სადაო" მიწას. მიწის ნამდვილი მესაკუთრე, ამ შემთხვევაში, კარგავს თავის ყოველგვარ უფლებას ამ მიწაზე და ეს უფლება უკლებლივ სასამართლოს განაჩენით გადადის მომჩივანზე (მყიდველზე) და მომავალში (მყიდველი) „მომჩივანი" თავის უფლების დაცვის დროს წინააღმდეგ მესამე პირთა პრეტენზიებისა, სავსებით ემყარება იმ საბუთებს, რომელნიც ჰქონდა წარსულში მის მოპასუხეს (გამყიდავს) და რომლით სარგებლობა უკანასკნელმა არ მოისურვა იმისთვის, რომ მიწა წაეგო (გაეყიდა). ამ სახით მიწის გადასვლა-გადმოსვლა (ყიდვა-გაყიდვა) შეამჩნიეს რუსეთის კანონმდებლებმა, და რომ ხაზინის სიმტკიცის ბაჟი (Крѣпостныя пошлин) არ დაკარგოდა, სამოქ. საქმეთა წარ. წესდების 1394 მუხლი, რომლის თანახმად სათანადო სასამართლომ უნდა შეატყობინოს სახაზინო პალატას, რომ მან იმ პირს, რომელზედაც ეს მიწა გადავიდა, გადაახდევინოს შესაფერისი სიმტკიცის ბაჟი ხაზინის სასარგებლოდ. აქედან თავისთავად აშკარაა, რომ ყოფილა კიდევ გარდა ყიდვა-გაყიდვისა, სხვა წესიც მიწის გადაცემისა. ასეთ წესს მიწის „გაყიდვისა" ახალ-კანონის მე 19 მუხ. სრულიადაც ვერ სპობს და, მაშასადამე, კანონმდებელი მე 19 მუხ. დასახულ მიზანს ვერ აღწევს.

კანონ-პროექტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ შეუძლიან თუ არა მიწის „მესაკუთრის" კრედიტორებს თავიანთ ვალებში დასაკმაყოფილებლად ასწერონ ასეთი მამული და გაყიდონ საჯარო ვაჭრობით? რა კი ასეთი აკრძალვა არ არის ახალ კანონ პროექტში, მაშასადამე, არსებულ და მომქმედ კანონების ძალით, ეს შესაძლებელია. ვსთქვათ, რომ „მიწის მესაკუთრეს" სურს ეს მიწა გაყიდოს, თავიდან მოიცილოს, მაგრამ მას ან არ მოსწონს ერობის მიერ მიწის გაუმჯობესობისათვის შეძლეული თანხა და სხვები უფრო მეტს აძლევენ, ან არა და არ სურს ერობასთან საქმე დაიჭიროს და უნდა კი მიწა გაყიდოს. ის არ არის მოკლებული მოქალაქეობრივ უფლებებს. მას შეიძლება მევალეები ყავდეს და თუ არა ყავს, შეუძლია ამ მიზნისთვის გაიჩინოს, ხელოვნურად შექმნილი მევალეები სამსაჯულოს ბოქაულს ააწერინებენ მამულს და გააყიდვინებენ საჯარო ვაჭრობით. რა თქმა უნდა, ასეთი კანონის კანონიერი გზით გვერდის შექცევით, მამული გაიყიდება, თანახმად მეპატრონის სურვილისა. რა შეუძლია ამ შემთხვევაში მთავრობას? ან უნდა გამოსცეს აკრძალვითი კანონი, ან და კიდევ ძალადობას მიმართოს, რომ სასამართლოს განაჩენი შეაჩეროს. ძალადობით და ბრძანებით კი უფლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს განაჩენის შეჩერება შეუძლებელი იქნება. ორში ერთი: ან უნდა გამოვიდეს ერობა და ივაჭროს „ტორგის" დროს და მისცეს ამ მამულში, ის ფასი, რაც მყიდველს გაუღია პირველად (თუ ამ ფასში „მეტორგეებმა", მას დაანებეს), ან კიდევ იჩივლოს თავისი ვეტოს ძალით სასამართლოში. მაგრამ, რა საბუთები უნდა წარუდგინოს ერობამ სასამართლოს? თუ სთქვა მიწის მეპატრონეს არ ჰქონდა „ნებართვა" ჩემგანო, მიწის მეპატრონე განაცხადებს: „მე კი არ ვყიდი, არამედ სხვა ჰყიდისო (კანონი ჰყიდისო) და თავის განზრახ მოკატუნებით დასძენს: „მიშველეთ, გადაარჩინეთ ჩემი მიწა გაყიდვასო". და თუ მთავრობის წარმომადგენელი გამოვიდა და განაცხადა, რომ ეს მიწა ხაზინისაა, მაშინ მთავრობის ავტორიტეტი ეცემა და თვით პრინციპი კანონიერებისა და სამართლიანობისა ილახება, ვინაიდან 1 მუხ. ძალით კანონისა მთავრობამ აღნიშნული მიწა „კერძო საკუთრებად" გადასცა „მყიდველს". ამრიგად, ერობა ვერავითარ კანონიერის გზით ე. ი. ვერც მფლობლობის, ვერც კერძო საკუთრების უფლებით ვერ შესძლებს შეაჩეროს მიწის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა და ისიც ადვილად შესაძლებელია, რომ ვერც ერთმა მთავრობის ორგანომ ვერ გაიგოს, რომელი მიწა გაიყიდა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კანონი მეტის მეტ აჩქარებით არის შემუშავებული და გამოცემული. მასში ვერ არის დაცული მთლიანათ პრინციპი კერძო საკუთრებისა და მიუხედავად ამისა ვერ არის უზრუნველყოფილი ხაზინის ინტერესები სხვადასხვა შესაძლებლობიდან, რომელზედაც მიუთითე ზევით. აღნიშნული კანონი მოითხოვს მრავალ გზით საფუძვლიანად გადამუშავებას, რომ მან ცხოვრებაში გაუგებრობა და კანონთა კრებულში შეუსაბამობა არ დაჰბადოს.

# კორესპონდენცია

## წერილი ახალქალაქიდან.

1918 წელს ყოველი ჯავახეთის ლტოლვილი უკან დაუბრუნდა თავის კერას და იწყო ძველებურათ ცხოვრება. მაგრამ მთავრობამ დროზე ვერ აუღო ალლო ადგილობრივ პირობებს და ახალქალაქის მაზრა ჩააბარა ისეთ კომისარს მილიციონერებით, რომელსაც არაფერი გაეგებოდა რა თავისი სერიოზული მოვალეობისა. ამ ვაჟბატონებმა დაუწყეს დარბევა და ცარცვა ადგილობრივ მუსულმანებს და საქმე იქამდი გაამწვავეს, რომ თებერვლის 13, 1919 წელს, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეტოვებია ახალქალაქ-ახალციხის მაზრა, იგივე მუსულმანები, ძალზე ნაწყენნი ქართველ კომისარ-მილიციონერების უმგვანო საქმიანობით, შეიარაღდენ და გამოილაშქრეს ჯავახეთის ქართულ სოფლებზე. დაგვარბიეს, დახოცეს ბევრი და აუტანელი მწუხარება მოგვაყენეს.

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ალელვება ადგილობრივ მუსულმანებში გამოიწვია ადმინისტრაციის უვარგისობამ. მისმა ყაჩაღურათ განწყობილებამ.

ამის შესახებ თხოვნა უკვე აღძრული იყო საქართველოს მთავრობის წინაშე, სადაც კომისარ-მილიციონერების გამოცვლასა ვსთხოვდით, მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოთ იქნა დატოვებული და ისინი დღესაც განაგრძობენ სამსახურს, რითაც, თქმა არ უნდა, მცირდება პრესტიჟი ქართველი ერისა და ქართული მთავრობისა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მესხეთ-ჯავახეთის ბედი ისეთ ხალხს ჩაბარდეს, რომელთაც აინტერესებს ქვეყანა და ქართველი ხალხი.

ჯავახელი ქართველი.

## წერილი იმერეთიდან

(შორაპნის მაზრა)

ვინც იმერეთს იცნობს, ის უეჭველათ დამეთანხმება, რომ შორაპნის მაზრა ნამდვილი გულია იმერეთისა. იშვიათია სხვა რომელიმე მაზრა ქუთაისის გუბერნიაში, რომ მას შეედაროს მოსავლით. აქ საერთოთ მეურნეობა, შედარებით სხვებთან უფრო მაღლა არის დაყენებული. ხალხიც ძლიერ გამრჯე არის. მიუხედავათ ასეთი ბუნების დაჯილდოვებისა და ხალხის გარჯისა, წელს ამ მაზრას შიმშილი მოელის. გული დაგეწვით, როდესაც უყურებთ დაუმუშავებელ ან და გვიან დამუშავებულ (მაისის დამლევს) დათესილ ყანებს. უწინ როდესაც აქეთ გაივლიდით ამ დროს და გადახედავდით ბაგრატიონ-იაშვილების და აგრეთვე ანანოვის ქალებს სიხარულით გული აგევსებოდათ. ყანებს აშვენებდა მობიბინე სიმინდი, ეს მთავარი სარჩო იმერეთისა.

დღეს რა მოუვიდა.-იკითხავს გაოცებული მკითხველი. დღეს როდესაც ქართველმა გლეხმა იცის, რომ მას არსაიდან შველა არ ექნება, თუ თვითონ არ გაანძრია ხელი და უფრო სერიოზულათ არ მოეკიდა მუშაობას. მაგრამ პასუხი ერთია: გლეხი აქ არაფერ შუაშია, არც ნამეტან წვიმიანობას. წელს არ შეუშლია ხელი, პირიქით წვიმა ამ მაზრაში ყოველთვის უხდება მოსავალს, როგორც მაღლობი და მშრალი ადგილი. ბრალი აქ თვით მთავრობას და ერობებს მიუძღვის. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობამ ბ. ხომერიკის პირით კარგახანია გამოსცა დეკრეტი ნორმაზე მეტ მიწების ჩამორთმევის შესახებ მემამულეებისადმი, და რაც უნდა შეესრულებია კანონიერ კომისიას, ამ მაზრაში ეს არ განხორციელებულა არც დღეს, რაც უნდა მიეწეროს ნამდვილ კომისიის დაგვიანებას, მეორეთ კი აქაური ხალხის ამ დეკრეტისადმი გულცივათ შეხვედრას, რაც აიხსნება მით,რომ მათ კვლავინდებურათ განაგრძეს მუშაობა და ისევ სანახევროთ იღებდენ ყანებს ადგილის მეპატრონებიდან. მათ ალბათ ბ. ხომერიკზე უკეთ იცოდენ, რომ თუ ნახევარს არ მიუტანდენ ამ ორი სამი ქცევის ნორმაზე მეტ მქონე მემამულეს, მას რომ შამოაკლდებოდა, ისევ ამ გლეხებს შეაწუხებდა.

ადგილის მეპატრონეებიც თავის მხრით აძლევდენ მიწას ისეთ გლეხს, რომელთაც მართლაც შეეძლოთ მუყაითათ ემუშავნათ თავისთვის და არც სხვა ეზარალებიათ. სანამდი ასთე მწყობრათ და შეთანხმებულათ მიდიოდა მუშაობის საქმე, მოსავალსაც ამ მაზრაში კარგი პირი უჩნდა თითქმის ყოველთვის. მაგრამ წელს აქაურმა ახალმა ერობის შემადგენლობამ ახალი ,,დეკრეტი'' გამოსცა, რაც გამოიხატა მოწერილობების დაგზავნაში სამამასახლისოზე, სადაც წერდენ რომ უნდა შემდგარიყო ადგილობრივ მკიდრთაგან მიწის კომისია, რომელნიც ჩამოართმევდენ ნორმაზე მეტ მიწას მემამულეებს. თან აქვე დასძენდენ, რომ მეორეთ ნამდვილი კომისია მოვა და ის ხელახლა კანონიერათ დაგინაწილებთ მიწასო.

აი, ერობის ბრძნული მოქმედება. თუ კი ასეთი სოფლის კომისიის მოქმედებას არავითარი უფლება არ ქონდა და ნამდვილ კომისიას კი,ხელ ახლა უნდა გამოეძია საქმე, საკითხავია, რაღას რევდენ ამ სოფლის ხალხს, რაღათ უნდოდათ ეს სოფლის კომისია. ან რაღას აგზავნიდენ ამ მოწერილობას და აცდენენ მუშას გაზაფხულზე ხვნა-თესვის დროს. შეიძლება დღევანდელი მართველები ვერც კი გრძნობდენ თუ რა ზიანი მოუტანეს ამით ხალხს. როგორც ზევით მოგახსენეთ, ადგილის მეპატრონეები აძლევდენ მიწას დასამუშავებლათ ისეთ გლეხს, რომელიც თავისთვის და სხვისთვისაც დოვლათის მომტანი იყო. ამათ წინაალმდეგ, რასაკვირველია ყოველთვის ილაშქრებდენ მეორე ჯგუფის ხალხი ეგრეთ წოდებული ,,ჯგუფი ზარმაცებისა და მოქეიფეებისა, რასაკვირველია, სხვის ხარჯზე'' უნდა მოგახსენოთ რომ ეს ,,საბედნიერო'' ჯგუფი თანდათან მრავლდება შორაპნის მაზრაში სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტების წყალობით. აი სწორეთ ამ ჯგუფმა ისარგებლა ამ პირველ მოწერილობით. მაშინვე მუქარით თუ სხვადასხვა ხრიკებით თავიანთი თავი გაიყვანეს კომისიაში, და პირველი იერიშიც სწორეთ ამ მშრომელ გლეხებზე მიიტანეს. ჩამოართვეს მიწები ყველას, ვინც მათ არ მოსწონდათ, იმას ნორმაზედაც უჭრიდენ საქმეს და თუ ვინმეს ემადლიერებოდენ და მათი ძმა-ბიჭი იყო, მას ხომ ზედი წყალობდა. იყო შემთხვევები რომ კამისიის წევრთაგანი კეტით სცემდა გლეხს, რომელიც მას არ მოსწონდა რაღაც მოსაზრებით. თავის თავს ხომ არ აკლებდენ მიწას და ის იყო, ხანდიხან ზოგიერთი მათგანი რომ ველარ ახერხებდა ნაშოვნ მიწის დამუშავებას სხვაზე, სცემდა როგორც მეპატრონე. ამას რასაკვირველია ყველაფერს ხედავდა მშრომელი გლეხობა და ისინიც იძულებული იყვენ ძალით უარეყოთ ასეთი უსამართლობა, რომელსაც იჩენდენ ეს ტყვილა მოხეტიალე კომისიის შემადგენლობა. ასე და ამრიგათ ჩხუბს და დავიდარაბას დასასრული არ უჩნდა, ერთი რომ დახნავდა, მეორე იმ დახნულს თავისთვის დათესდა ხშირათ იყო ასეთი შემთხვევები რომ სოფელი სოფელს შეტაკებია და ეს ყველაფერი კინკლაობა ხდებოდა სწორეთ მარტში და აპრილში ნამდვილ სამუშაო თვეებში.

გლეხობა ისე გაიტა ამ ჩხუბმა, რომ მათ სრულიათ დაივიწყეს წრევანდელი მუშაობა. ეხლა კი გამვლელს და გამომვლელს ყველას სეშჩივიან რომ მათ წელს საშინელი საფრთხე მოელით შიმშილიდან. აი ეს შედეგი მოიტანა შორაპნის მაზრაში ერობის პირთა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა სოფლის კომისიის არჩევნების შესახებ.

ვინიცის რამდონი ამისთანა დაუფიქრებელი ნაბიჯები გადასდგეს და გადასდგამენ ჩვენი მესვეურები

ვ. სიქთარულელი.

## მივიწყებული მხარე

(ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი).

საქართველოს კარი—ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი განსაკუთრებით ყურადღებას და ზომების მიღებას თხოულობს.

დღევანდელი მისი ვითარება ისეთია, რომ გარდა ადგილობრივ განადგურებისა და აღრევისა, შეიძლება ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის საზარალო მიმართულება მიიღოს მისმა მომავალმა. მთელი ეს მხარეები ჩაბმულია კავკავში გამეფებულ ძველი რუსეთის პოლიტიკის ქსელებში და საშინელის ტკივილებით იტანს დღეს ჩრდილოეთით მომართულ ყველა მუქარას, მაგრამ რა იქნება ხვალ—ღმერთმა უწყის. შესძლებს თუ არა ,,მაგარი და მოუდრეკავი მთა'' მოუხრელი აიტანოს კვლავ ყველა უბედურობანი და სამშობლოს ჩვეული, ძველი სამსახური გაუწიოს.

ერთის თქმა შეგვიძლიან თუ ის მარტოკა დარჩა კვლავ ასე დავიწყებული, განწირული მთავრობისა და ერისაგან, გატყდება წელში. და ვაი თუ ამას საქართველოს გატეხაც მოჰყვეს...

ღმერთმა ნუ ჰქნას ეს.

ყველამ უწყის როგორ მოიგერია მთამ ბოლშევიკური რუსეთი, ვერაგულათ შემოპრილი შარშან გაზაფხულით. ქართველ საზოგადოებას ერთი ეპიზოდი ახსოვს მხოლოთ ჯულელ-გედევანიშვილის ბობძანება, მაგრამ სრულიათ მხედველობის გარეშე აქვს დატოვებული მთელი ის განუწყვეტელი ბრძოლა, რომელიც აწარმოვა მთამ მთელი ორი წლის განმავლობაში რუსეთის წინააღმდეგ სისხლით და სიტყვით. ვის ახსოვს, ან რომელ ქართველ გაუგონია ხევსურების ბრძოლა შატილის მიდამოებში გროზნოდამ შემოსეულ ბოლშევიკებთან?

ხიფათის აშორების დღეს მოწმობს მხოლოდ რამდენიმე საფლავი ძველ აკლდამა ანატორაში. აღსანიშნავია, რომ მთა არ არჩევს ბოლშევიკ-დენიკინის საფრთხეს და ერთსაც და მეორესაც ერთი სახელით ნათლავს. მთის შეგნებით ეს რუსეთის საფრთხეა და მისი აქ მეორედ შემოსვლა დამარხვა იქნება საქართველოსი.

მართალიც არის მთა. დენიკინი განაგრძობს ბოლშევიკების პოლიტიკას მხოლოდ უფრო მკაცრათ, ნაცადის ხელით და მოუხრელი ულმობელობით.

ბოლშევიკების დროსაც იყო შეკრული გზა, მაგრამ კავკავიდამ კიდევ ვახერხებდით საჭირო სანოვაგის შემოტანას.

დღეს კი არაფრის შემოტანა ქართველებს აღარ შეუძლიათ.

ძველმა გენერლებმა კარგა იციან ჩვენი სუსტი მხარეები და სწორედ ამაზედ მოქმედობენ. იციან, რომ მთელი ხევი, თრუსო, მთიულეთი და გუდამაყარი მხოლოთ კავკავიდან შემოტანილ პურით იკვებებოდა. ადგილობრივი ნახნავ-ნათესი არ ალემატებოდა კომლზე ნახევარ დღიურ მწირზე ნათესს ქერს, რომელსაც მხოლოდ ლუდისა და არაყის სახდელად სთესდა მთიული და არა კაცის საჭმელად.

დღეს სიმშილს ამ სიტყვის მთელის შინაარსით და საშინელის მნიშვნელობით განიცდის მთა. და სიმშილი ორკეცდება იმით, რომ ლიახოვი თრუსოს ხეობის ოსობას აძლევს პურს, აძლევს უხვათ. მშიერ მოხევეთა თვალწინ ყოველ დღე მოდის ოსების ურმები. საქართველოდან გაძევებული გენერალი ფონ-რუბენაუ რამდენიმე თვის განმავლობაში თურმე ჩვენსავე მიდამოებში, კობელ ოსობასთან იმალებოდა, და დღეს კავკავში იგია დანიშნული ლიახოვისაგან ,,ოსთა საქმის საწარმოებლად''.

ეს კერგათ მოფიქრებული პროვოკაციაა და, უნდა ითქვას, თავის შედეგებიც მოაქვს. ხალხი ჩვენი ტყდება, მთავრობის პრესტიჟი იკარგება და თავისუფალი საქართველო მთიულის გონებაში გულის გამტეხ სისუსტით იბეჭდება.

ხალხი წყდება სიმშილით, მთელნს სიძლიერით დღემდის მძვინვარებს სიცოცხლის მცელავი სხვადასხვა სენი და აქ გვერდზე ჩვენში შემოხიზნული ოსობა ახერხებს გაძლომასაც და განცხრომასაც.

იმედიც არაფერი სჩანს. ჩვენ მთავრობას მთლათ დავიწყებული აქვს ეს მხარე. აქ არ არიან არც გურიის ,,იაჩეიკები'', არც სამაზრო და სარაიონო პარტიული კომიტეტები და ალბათ უბრალო მომაკვდავთა, გინდ თავისუფალ მოქალაქეთა სიტყვა და მუდარა კი არავის ესმის ჩვენ კურთხეულ დროში.

კავკავიდანაც ყოველივე იმედი მოგვესპო. ჩვენს წარმომადგენელს პატივცემულს მოძღვარს ნათაძეს ისე გამასპინძლებია გენ. ლიახოვი, რომ მეორეთ მისვლასაც ველარ ახერხებს ღირსეული ადამიანი.

გაჭირებისა და ცრუ იმედისა გამო ჩასული ურმები გაძარცვეს მთლად და ისე გამოისტუმრეს უკან მძიმე ბეგრის მოხდის შემდეგ.

ვერც საყვარელ მოძღვრის, თავდადებულ ბართლომე ღუდუშაურის ჩასვლამ გასჭრა.

ამის შედეგათ საშინელი ვითარება და სულიერი განცდა არის დამყარებული მთაში. სიმშილმა და უპატრონობამ შეიძლება საშიში აღრევა გამოიწვიოს ხალხში. სამწუხაროთ, ამის ნიშნები უკვე სჩანს. დამშეული ხალხი დაეცა სომხის ლტოლვილებისათვის ედიგაროვის მიერ ნაზიდ სიმინდს და მთლათ გაიტაცა, ისე რომ კობელ და მთიულ მეურმეების თითო-ოროლა, საკუთარი საჭიროებისათვის ნაყიდი ტომრებიც ზედ მიადევნეს.

ამან ისეთი მტრობა გამოიწვია მათ შორის, რომ მოხევე კობს აქეთ წამოსვლას ველარა ბედავს და ესენი კიდევ იქით.

საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ყველაფერ ამას.

ცხოვრება სხვა მხრითაც სჩაგრავს ამ ხალხს. მათი შემოსავალი სამხედრო გზის ტრანზიტი იყო და დღეს ესეც შეჩერებულია მთლათ. გზები, განსაკუთრებით ანანურის და წილკნის გარშემო მთლათ შეკრულია ყაჩაღებისაგან და მიმოსვლა შეუძლებელია, საზამთროთ ყიზლიარში წასული ცხვრიდამ მხოლოდ ნაწილი დაბრუნდა. ზოგი დაზარალდა, უდიდესი ნაწილი კი სამოქალაქო ომმა და ყაჩაღობამ იმსხვერპლა. ცნობებით გასული იყო ორას სამოცი ათასი სული ცხვარი და დაბრუნდა არა უმეტეს ას სამოცისა. აღსანიშნავია, რომ არ დაბრუნებულა უფრო თრუსოს ხეობის ცხვარი.

ასე იცარება ყოველ მხრიდან ეს მხარე. მომვლელი, მზრუნველი არავინა ჰყავს. ავი ზნე და ბოროტი აღრევა იკიდებს ფეხს.

და ვინც იცის თუ რა ვნების მოტანა შეუძლიან ამას ამ საქართველოს კარზედ-ის გულგრილათ ვერ მოისმენს ამ ამბებს. ნუ თუ მთავრობამ მხოლოდ არჩევნებისა ან სხვადასხვა ჩხუბის დროს ხალხის მოსაგროვებლათ უნდა მოგვიგონოს ხომე?

თუ განწირეს მთა, საქართველო მაინც შეინახონ და დროზე მიიღონ ზომები, თორემ ვაი თუ გაგრის კარიც დაკეტილი გვქონდესო, ბაქოც უზრუნველყოფილი, მაგრამ რუსობამ ძველი ნაცადი გზით მონახოს საქართველო და მთამაც დამშეულმა და აშლილმა ძველი წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს.

ამაზედ მაინც იზრუნეთ და მოხედეთ ამ ხალხს!

მოხედეთ ლუკმით, წესიერებით და საჭირო მზრუნველობით.

შ. ბ—ლი.

# საქართველოს ამბები.

### სამხედრო ხელშეკრულება.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მიიღო საქართველოსა და აძერბეიჯანს შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულობის ტექსტი, რომლის რატიფიკაცია დამფუძნებელ კრების მიერ მოხდა კვირას, 22 ივნისს საგანგებო სხდომაზე.

### ბათუმის ცნობები.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან ბათუმის მიდამოებში დიდი მზადებაა. ჭოროხის წყალზე სდგას რუსის ჯარისკაცები, რუსული სახელმწიფო დროშით. ახდენენ ადგილობრივ ძველი, რუსული ქონების მოგროვებას. აძგენენ ეგრედ-წოდებულ ,,ტუზემნი კორპუსებს''. გროვდება ბევრი ჯარის-კაცობა.

### რუსული სახელმწიფო ბეჭედი.

ლევანდოვსკის უფლებიან კერძო გიმნაზიაში კურს დამთავრებულთ მიეცათ სიმწიფის მოწმობანი, რომელზედაც მოხსენებულია: ,,თანახმად უმაღლესათ დამტკიცებულ წესდებისა'' და სხვა. მოწმობას აზის რუსეთის თვითმპყრობელობის დროის ორთავიან არწივის ბეჭედი. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

### ,,ფრონტის დღე''

17 ივნისს საღამოს სასახლეში შესდგა ,,ფრონტის დღის'' მოსაწყობად მოწვეული კრება, რომლის მიზანია გაუწიოს ნივთიერი დახმარება ფრონტზე მეომარ ლაშქარს და გვარდიას. კრებას დაესწრენ შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების, ქალაქის გამგეობის და საბჭოსი; გვარდიის მთავარი შტაბის, სამხედრო სამინისტროსი, ქართულ წითელი ჯვრის საზოგადოების, პროფესიონალურ საბჭოს, მუშათა კლუბის, თფილისის ს.-დემოკრატიულ კომიტეტის, გვარდიის ყველა კოლექტიურ სარაიონო შტაბების და სხვათა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ აირჩია დროებითი ,,ფრონტის დღი''-ს მოწყობი კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგნი პირნი: დამფუძნებელ კრების წევრი ჩიტო შარაშიძის ასული, მგალობლიშვილი, ცინცაძე, კოტე ფოცხვერაშვილი და პორ. ვ. გორგაძე. დროებითი ,,ფრონტის დღის'' მომწყობი კომისია იწვევს ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, და პარტიათა წარმომადგენლების საერთო კრებას სასახლეში, პარასკევს 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე.

### რ ა უ ტ ი.

ორშაბათს, ივნისის 16-ს ქართულ კლუბში საგარეო საქმეთა სამინისტროს თაოსნობით აძერბეიჯანის მთავრობის წევრთა პატივსაცემლად გაიმართა რაუტი. რაუტს დაესწრნენ: აძერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ვექილოვი, აძერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი—ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი მახმანდაროვი, საქართველოს რესპუბლიკის ყველა მინისტრები და დამფუძნებელ კრების ზოგიერთი წევრები. ბევრი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა.

### სამეურნეო—საწარმოო იარაღები

იტალიის მისიის წევრს, მაიორ დელ პროპორტოს, რომელიც ამ დღეებში იტალიას გაემგზავრა მიწათმოქმედების სამინისტრომ გაატანა მრავალი მასალები და ცნობები საქართველოს სამეურნეო და საწარმოვო იარაღების შესახებ, და დაავალა ეს მასალები გააცნობს იტალიის საკომერციო წრეებს

### ჩათახის ქარხანა

თფილისში დაბრუნდა საგანგებო ექსპედიცია, რომელიც გაგზავნილი იყო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ ბორჩალოს მაზრაში ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის ამოძრავებს მდგომარეობის შესასწავლად. ექსპედიციამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა სამინისტროს. გადაწყვეტილა გაგრძელებულ იქმნას მუშაობა და ღონისძიებათა გამონახვა ამ ქარხნის ასამოძრავებლად.

### ინგლისელების მოთხოვნილება.

21 მაისის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება ინგლისელების მიერ საროსკიპოს გახსნის მოთხოვნის შესახებ, რაზედაც გამგეობამ დაადგინა:

ქალაქის გამგეობა მიუღებლათ სცნობს ქალაქში კვლავ საროსკიპოს გახსნას ზნეობრივის თვალსაზრისით. გამგეობას შემცდარათ მიაჩნია ის აზრი, თითქოს საროსკიპოების გახსნის შემდეგ ვენერიულ სნეულებათა გავრცელება მოისპობა ან შემცირდება, ვინაიდან საროსკიპოების გახსნას თან უნდა მოჰყვეს რეგისტრაცია ყველა მეძავი ქალებისა მთელ ქალაქში და მათი პერიოდული გაშინჯვა, რაც ყოვლად შეუძლებელია ახლანდელ პირობებში და რაც მიზანს ვერ აღწევს თავის შედეგებით. ამავე მიზეზით ხელმძღვანელობდა ქალაქის გამგეობა, როდესაც უარი უთხრა გერმანელთა მისიას ასეთსავე მოთხოვნაზე.

თუ ინგლისელ ჯარისკაცებისათვის იქნება ნება დართული, ასეთსავე მოთხოვნას წარმოადგენენ ქართველი ჯარისკაცები, იტალიელები, რაც არა სასურველია, ეს მდგომარეობა იგივე იქნება, რაც იყო რევოლიუციის წინა ხანებში.

## ალექსანდრე სარაჯიშვილის მოკვლის გამო

წარსულ ოთხშაბათს, 18 ივნისს ვერის წმ. ნიკოლოზის საფლავზე მიწას მიაბარეს სოფ. ბაკურციხეში მოკლულ ალექსანდრე სარაჯიშვილის ცხედარი. დაკრძალვას მრავალი ხალხი დაესწრო: თფილისის ქართველი ვაჭარ-მრეწველები და მთელი ქართლ კახეთის ინტელიგენცია.

ალექსანდრე სარაჯიშვილის მკვლელობის გამო სოფელ ბაკურციხეში და კარდანახში შეიპყრეს ათ კაცამდის. ხმებია ნამდვილმა მკვლელებმა თავს უშველეს და გაიქცნენო. დაჭერილთა შორის იყვნენ ისეთებიც რომლებიც დიდი ხანია შემჩნეულნი ავაზაკობაში და უკანასკნელ დროს გატეხეს რამდენიმე სახლი ბაკურციხეში (ჩოლოყაანთი ედიშაანთი) და გაცარცვეს იქაური გლეხები (სესიაშვილი, გოდერძიშვილები), მაგრამ სოფლის და მაზრის ადმინისტრაცია აქამდის ხელს აფარებდა. ხალხი კი ამბობს რომ ვერაფერი ეშველება სანამ სიღნაღის ციხის კარები მაგრად არ ჩაიკეტება და დაჭერილ ავაზაკებს და კაცის მკვლელებს ადმინისტრაცია ჩვეულებრივად არ გამოაძვრენს ციხიდან. ადმინისტრაცია კი ჩივის: თფილისიდან ბრძანება მოგვდისო გამოუშვითო.

სამაზრო კომისარის ბალაშვილის ენერგიული მეცადინობით აღმოაჩინეს ბაკურციხეში ალ. სარაჯიშვილის მკვლელები. დაპატიმრებულნი დანაშაულში გამოტყდნენ და თითქმის ყველა გატაცებული ნივთები გამოაჩინეს.

## სამხედრო უწყებაში

დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიამ ჯერ არ დაამთავრა საქართველოს ჯარის რეორგანიზაციის პროექტის განხილვა. სახალხო გვარდიის დაწესებულების პროექტი ცალკე იქნება განხილული.

სამხედრო მინისტრმა დაითხოვა სამსახურიდან 1 ცხენოსანთა პოლკის უფროსი ცნობილი ქართველი კავალერისტი გენერალი რატიშვილი, რომელმაც თავის პოლკით ისახელა თავი სომხებთან და ოსმალებთან ომებში შულავერთან და ახალციხესთან და რომლის გამო საქართველოს მთავრობის მიერ დაჯილდოვებული იყო გენერალის ხარისხით. გენერალ რატიშვილის უმიზეზოდ გადაყენების გამო გადგა სამსახურიდან ქართველ ცხენოსანთა ბრიგადის უფროსი მეორე გამოჩენილი კავალერისტი გენერალი გ. ერისთავი.

ხმებია რომ რატიშვილის გადაყენება მოითხოვა მენშევიკების პარტიამ რომელიც ასახელებს ამ თანამდებობაზე თავის კანდიდატს პოლკოვნიკ მიქაშავიძეს.

პოლკოვნიკ ცაგურიას სამაგალითო ცხენოსანთა სამთო ბატარეას სამხედრო სამინისტრო დაშლას აპირობს. ბატარეის ოფიცრები და საუკეთესო კადრის უნტერ ოფიცრები აზერბეიჯანში ინსტრუქტორებად მიდიან.

აზერბეიჯანთან სამხედრო კონვენციის დადების გამო მრავალი გამოჩენილი ქართველი ოფიცრობა აზერბეიჯანში გამგზავრებას აპირობს. აზერბეიჯანის სამხედრო სამინისტრო პატივისცემით ეპყრობა ქართველ ოფიცრებს დიდ ჯამაგირს იძლევა და კარგ შენახვას ჰპირდება.

# უცხოეთის ამბები.

### ავსტრია და მოკავშირენი.

პრესის წარმომადგენელებთან ავსტრიის დიპლომატმა ლამმაშმა შემდეგი განაცხადა: „მე დავსტოვე სენჟერმენი, ვინაიდან მე იქ ზედმეტი ვიყავი, მე არ მქონდა არავითარი დამოკიდებულება ვრავისთან, როგორც სიტყვით, ისე წერილობით. უმჯობესია ანტანტის წარმომადგენელებთან ავსტრიიდან ისაუბრონ, ვიდრე სენჟერმენში. მე დავბრუნდები იქ მხოლოდ რაიმე სერიოზულ მოლაპარაკების დროს. გარშემო იქ ყველაფერი მშვენიერია მაგრამ დრო ძალიან მძიმეა, იმისთვის, რომ დამშეული ქვეყნის წარმომადგენელმა იგემოს ყველა ეს მშვენიერება. მე ველარ გამიგია ვილსონის პოლიტიკა. ჩემი რწმენა შერყეულია. ბნელი ძალები თამაშობენ როლს პარიზში, იდეალისტები კი სდუმან. მილიტარიზმმა თითქოს თავი იმართლა და ფეხზე წამოდგა, მხოლო ერთმანეთის გაგება კი გაჰქრა. არ არის უბრალო სურვილიც კი შეთანხმებისა. ჩემის აზრით ბედი აღმოსავლეთ და შუა ევროპის ბედი უკვე გადაწყვეტილია. თუ ანტანტას არ სურს ავსტრიისა და გერმანიის კავშირი, საჭიროა სხვა პირობები“.

### ცარიცინის აღება.

როგორც გაზ. „აზერბეჯანი“ იუწყება, „ნობელის“ ფირმას მოხალისეთა არმიის მიერ ცარიცინის აღების ცნობა მოუვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ახალი ბრალდება გერმანიის წინააღმდეგ.**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მაქსიმილიან გარდენი კიდევ ახალ საბუთებს ააშკარავებს, რომელნიც ცხადყოფენ გერმანიის ომის წინდაწინ განზრახვას. მის წინდაწინვე გამომუშავებულ გეგმებს სერბიის წინააღმდეგ. გაზეთ ,,ცუკუნფთში'' მან დასტამბა დეპეშა, რომელიც გაეგზავნა ავსტრიის სამინისტროს ფონ-ვისნერს ავსტიელ დიპლომატებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, სარაევოს მკვლელობის განხილვა. ეს დეპეშა, რომელიც გაგზავნილია 1914 წ. 13 ივლისის თარიღით, არის იმის დამამტკიცებელი, რომ ამ შემთხვევაში სერბიის მთავრობა არაფერ შუაში იყო. ეს დოკუმენტი და მალული იყო და 10 დღის შემდეგ სერბეთს წარედგინა ულტემატუმი. მასთან ერთად პოტსდამის სამხედრო საბჭომ ერთი კვირით ადრე გამოიმუშავა გეგმა მოქმედებისა, ვინაიდან წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა რუსეთის ჩარევა ომში.

**ახალი ომი.**

ექს—კრონპრინცმა, რომელსაც ესაუბრა ,,ნიუორკ-ტაიმსის'' თანამშრომელი, განაცხადა: ,,უეჭველია, ათი წლის შემდეგ დაიწყება ახალი ომი''-ო.

**ხალხთა ლიგა და გერმანია.**

საფრანგეთი წინააღმდეგია, რომ გერმანია დაშვებულ იქნას ხალხთა ლიგაში.

**ვილსონის გამგზავრების საკითხი.**

ვილსონი ევროპიდან წასვლას ჯერ-ჯერობით არ აპირებს იგი ფიქრობს მოიცადოს მანამდი, სანამ არ გამორკვევა საბოლოოთ დასთანხმდებიან ზავის პირობებს გერმანელები თუ არა.

**ავსტრიის პროტესტი.**

ავსტრიის დელეგაციის მეთაურმა კეპპერმა კლემანსოს ნოტა გაუგზავნა, სადაც უცხადებს პროტესტს ავსტრიის დაქუცმაცების გამო.

**ინგლისი და ამერიკა.**

როგორც ამერიკის სამხედრო საქმეების მდივანი, ბეკერი იუწყება, ინგლისიდან ამერიკას ერგება 7,100,000 გირვანქა სტერლინგი.

## საქართველოსა და ადერბეიჯანის შეთანხმება.

მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლათ შეიტანა შემდეგი შეთანხმება, რომელიც მოხდა 16 ივნისს ქალაქ თფილისში საქართველოსა და ადერბეიჯანის მთავრობის შორის.

საქართველოს მთავრობამ ერთის მხრივ, წარმოდგენილი საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორისა, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილისა, სამხედრო მინისტრის თანაშემწის გედევანიშვილის და სამხედრო საბჭოს წევრის ოდიშელიძის სახით და ადერბეიჯანის მთავრობამ მეორეს მხრივ, წარმოდგენილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჯაფაროვის, სამხედრო საქმეთა მინისტრის მეხმანდაროვის და გენერალური შტაბის უფროსის სულკევიჩის სახით, რომელნიც გაეცნენ საკუთარ დავალებებს და იცნეს ისინი სრულიად კანონიერად, მოსალოდნელი საფრთხის გამო, რომელიც ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს ელის, დასდეს ხელშეკრულება შემდეგ საფუძვლებზე:

1. მოკავშირე სახელმწიფონი ვალდებულნი არიან გამოვიდნენ ერთად შეიარაღებული ძალით და სამხედრო ძალებით ყოველივე თავზე დამსხმელ მტრის წინააღმდეგ, რომელიც დაემუქრება დამოუკიდებლობას და ტერიტორიალურ მთლიანობას ორივე სახელმწიფოსას.

შენიშვნა: ეს პარაგრაფი არ ვრცელდება იმ საზღვრების უთანხმოებაზე, რომელიც შესაძლებელია წამოიჭრას ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ტერიტორიალურ გადამიჯვნის დროს, რომელიც უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის.

2. უკეთუ რომელიმე მოსამზღვრე სახელმწიფო, თანახმად I პარაგრაფში მოხსენებულ სამხედრო მოქმედების დროს დაეცემა ერთ რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს ან ორთავეს ერთად იმ მიზნით, რომ იარაღის საშუალებით გადაჭრას საზღვართა უთანხმოება, ეს სახელმწიფო ჩაითვლება მეომარ მხარედ.

3. ამ შეთანხმებას აქვს წმიდა თავდაცვითი ხასიათი და თუ რომელიმე მხარე, თავისი ინიციატივით, გაუფრთხილებლივ და შეუთანხმებლივ, აცხადებს ომს ანდა იწყებს სამხედრო მოქმედებას, მეორე მოკავშირე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. მეზობელი მხარეები ვალდებულნი არიან ყველა საზღვრების შესახებ წარმომდგარი უთანხმოება გადასწყვიტონ შეთანხმებითა და არბიტრაჟით, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

5. ხსენებული შეთანხმება იდება 3 წლის ვადით. უკანასკნელი ერთი წლის გასვლამდი თითოეულ მხარეს უფლება ეძლევა განაცხადოს სურვილი გააგრძელოს ვადა შეთანხმებისა, ან და სრულიად უარყოს იგი; უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას განსაზღვრული დროის შემდეგ.

6. ორივე სახელმწიფო ვალად იდებს შეთანხმებითა და სოლიდარულათ აწარმოოს დიპლომატიური მოლაპარაკებანი, რომელიც მიმართული იქნება შეთანხმებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დაცვისათვის.

7. როცა დადგება ისეთი მომენტი, რომელნიც მოხსენებულია 1 და 2 პუნქტებში, შეთანხმებული სახელმწიფონი ვალდებულნი არიან სეპარატიული ზავი არ შეჰკრან.

8. ორივე მხარე ვალდებულია სხვა სახელმწიფოებთან ფარულად, ერთმანეთის შეუტყობრათ, სამხედრო კონვენციები არ დასდონ.

9. უკეთუ იმ დროს გასვლამდი, რომელიც აღნიშნულია მე-5 პარაგრაფში, შეიქმნება ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა საზღვრებს, იმ დროიდან, როცა შეთანხმებული სახელმწიფონი ხალხთა ლიგაში შევლენ, ხსენებული შეთანხმება ძალას ჰკარგავს.

10. მესამე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას—სომხეთს უფლება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ოფიციალურათ ეცნობება ეს შეთანხმება, სურვილი განაცხადოს ამ შეთანხმებაში შეერთებისა.

11. რატიფიკაციათა შეცვლა მოხდება ქ. ბაქოში ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ხელი მოაწერეს.

12. ეს შეთანხმება შედგენილია ორი დედნით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი. სამხედრო მინისტრი რამიშვილი. სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ-მაიორი გედევანიშვილი გენერალი ოდიშელიძე.

ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი. სამხედრო მინისტრი მეხმანდაროვი. გენერალური შტაბის გენერალ ლეიტენანტი სულკევიჩი, ქალაქი თფილისი ათას ცხრაას ცხრამეტი წელი, ივნისის თექვსმეტი.

## „Timps"-ი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები.

ინგლისური გაზეთი ,,Timps''-ი 14 აპრილის ნომერში, არჩევს რა რუსეთის მდგომარეობას და ითვალისწინებს იმ პოლიტიკის ცვალებადობას, რომელიც უკანასკნელ დროს ბოლშევიკებმა გამოიჩინა, სწერს:

,,ბოლშევიკებმა უარყვეს დიდგულობა და ეხლა ცდილობენ მიიმხრონ უკმაყოფილო ელემენტები. ამ პოლიტიკას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს, ვინაიდან ბოლშევიკებს შეუძლიათ შექმნან დიდი არმია, დაამარცხონ დონის ყაზახობა და მოხალისეთა არმია და წარუდგინონ მათ თავიანთი პირობები.

ამ პირობებში საფრანგეთისა და ინგლისის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს დაეხმარონ მოხალისეთა არმიას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც რუსეთისა და გერმანიის დაახლოვებას გამოიწვევს.

რუ რუსეთს ჩამოშორდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ეს გამოიწვევს უკრაინისა, დონისა, ყუბანისა, (ციმბირისა და ბალტიის მხარეთა, ვოლგის ნაყოფიერ მხარეთა და ბაქოს ნავთის დაკარგვას. რუსეთი ყოველმხრივ გარემოცული იქნება მოწინააღმდეგე ელემენტებით. ასეთი პოლიტიკა გამოსადეგია მხოლოდ რესპუბლიკანურ გერმანიისათვის, რომელიც ყოველივე ამით მიაღწევს იმ მიზანს, რომელსაც ვერ მიაღწია იმპერიალისტურმა გერმანიამ.

მოხალისეთა არმია ეჭვით უცქერის ინგლისელების ამიერ-კავკასიაში ყოფნას. არმიის ხელმძღვანელები პირდაპირ აცხადებენ, რომ ინგლისელები საჭიროებენ ბაქოს ნავთს და ამიტომ არ სცლიან ამიერ-კავკასიას.

ანტანტი თავის მოკავშირეთა სთვლის რუსეთის იმ ნაწილს, რომელსაც მოხალისეთა არმია წარმოადგენს და რომელმაც ინგლისელებს დიდი სამსახური გაუწია. ანტანტიმ უნდა დახმარება გაუწიოს რუსეთს და წინააღუდგეს სხვადასხვა რესპუბლიკათა აღმოცენებას ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე.

ღირსია თვითგამორკვევისა მხოლოდ ის ხალხი, რომელიც გამოიყენებს ამ თვითგამორკვევას, მაგრამ ვინც იცნობს საქართველოსა და ადერბეიჯანის მდგომარეობას, რუსეთის რევოლუციის შემდეგ, მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ამ ხალხების დამოუკიდებლობა მუდამ მშფოთვარების ზავის დამრღვევი იქნება.

რაც შეეხება სომხეთს, იგი ამ შემთხვევაში განსაკუთრებითა სდგას. იგი შეუერთდება ახალ სახელმწიფოს, რომელიც შექმნილ იქნება ოსმალეთის საზღვრებში და ისარგებლებს მოკავშირეთა დახმარებით. ამ აზრს სრულიათ იზიარებს ზოგიერთი რუსეთის სფეროებიც. დათანხმება საქართველოსა და ადერბეიჯანის ჩამოშორებაზე და იმ უთანხმოებაზე, რომელიც მომავალში ამ ერთა და რუსეთის შორის ასტყდება ხოლმე, არ იქნებოდა მიზანშეწონილი''.

## საქართველოს საკითხი ინგლისის პარლამენტში.

„ბაკინსკაია ჟიზნ"-ი გვაცნობებს ერთ მომენტს ინგლისის თემთა პალატაში კრებისას, სადაც ირჩეოდა საქართველოს საკითხიც.

„კომანდირ კენვორტის შეკითხვაზე მართალია ქართველებსა და ბრიტანეთის ჯარის შორის მართლა ჩამოვარდა მტრული განწყობილობა, ჩერჩილმა უპასუხა, რომ არავითარ შეტაკებას მათ შორის ადგილი არა ჰქონია.

საქმე შემდეგში იყო: ქართველებმა იერიშებით აიძულეს გენ. დენიკინი, რომ გაგრის სამხრეთიდან დაეხი ჩრდილოეთათ მდინარე მახანდირამდე სადაც ისინი შეჩერდნენ. ეს წინსვლა ქართველთა მოხდა მიხედავად იმ პროტესტისა, რომელიც ამის გამო ინგლისის ჯარების მთავარ სარდალმა განუცხადა ქართველებს.

ქართველ ჯარს ეხმარებოდა ადგილობრივი ბრბოები და ბოლშევიკები. მაგრამ მის შემდეგ როცა ჩვენ გაგრაში ინგლისის ჯარის გაგზავნით დავემუქრეთ საომარი მოქმედება შესწყდა.

კომანდირ კენვორტი: ჰყავთ თუ არა სრულ უფლებიანი წარმომადგენლები ქართველებს პარიზის კონფერენციაზე? ჩერჩილი: მე ეს არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ, რომ ჩვენ ნებას არ მივცემთ ქართველ ჯარს დენიკინის ჯარს თავს დაესხნენ.

## მეფუტკრეობის საზოგადოების დაარსება ქუთაისში.

მეფუტკრეობის საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება მოხდა აპრილის 25-ს ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. კრებამ ექიმ გ. ი. გოკიელის თავჯდომარეობით მოისმინა ინიციატორებისაგან მისალმება და მიზანი მეფუტკრეობის საზოგადოების დაარსებისა, იქონია მსჯელობა ამ საზოგადოების მრავალმხრივ მნიშვნელობაზე. ორატორთა მიერ ამ საკითხზე აზრთა გაზიარების შემდეგ, კრებამ დაადგინა შემდეგი: ამ კრებაზე რვა წევრისაგან არჩეულმა კომისიამ დაუყონებლავ შეიმუშაოს ამ საზოგადოების წესდება და არა უგვიანეს ერთი კვირისა მოიწვიოს წევრთა და ფართო საზოგადოების კრება და ხსენებულმა კომისიამ გააცნოს მათგან შემუშავებული წესდება; ესევე კრება ამოირჩევს გამგეობას თავთავის სექციებით, რომლის შემდეგ საზოგადოება შეუდგება ენერგიულ მუშაობას.

წესდების შემმუშავებელ კომისიაში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილი, მღ. პლ. ცქიტიშვილი, წინამძღვარი დონ დამიანე საკაშვილი, ქ-ნი იანინა ხაჩევსკაია, ბბ. კ. ბერეკაშვილი, ი. მაჭავარიანი, გ. ლექვანიძე და დ. ჩარკვიანი დასასრულ კრებამ გამოუცხადა მადლობა ამ საქმის ინიციატორებს: მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილს, მღ. პლ. ცქიტიშვილს და წინამძღვარს მამა დამიანე საკაშვილს, რის შემდეგ თავჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

**დონ დამიანე საკაშვილი.**

## წ. კ. ს. წლიური ანგარიში.

წ. კ. საზ. გამგეობამ უკვე შეადგინა გასულ 1918 წლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოების ბალანსი 1919 წლის 1 იანვრისთვის უდრიდა 830366 მ. 47 კ. შემოსავალი ჰქონია 356503 მან. 47 კ. გასავალი 124923 მან 28 კ. შემოსავალის ნაშთიდან 10 პროცენტი მიემატა სათადარიგო თანხას და 90 პროცენტი სახარჯო თანხას ე. ი. ორივე თანხას მიემატა 231580 მ. 19 კაპ. საზოგადოების მთავარი ხარჯები გამოიხატება შემდეგ ციფრებში: დახარჯულა ადმინისტრატიულ სექციაზე—75791 მანეთი 67 კ. სასკოლო სექციაზე 390678. 38 კ. ბიბლიოთეკის სექციაზე 1947 მან. 30 კ. სამუზეუმო სექციაზე 8216 მ. 93 კ. შემოსავლის წყაროებს შეადგენდენ საანგარიშო წელს წიგნის მაღაზია და გამომცემლობა, რომელთაც მიუციათ მოგება 168201 მან. 7 კ. სხვა და სხვა შემოწირულება და შემოსავალი ყოფილა 120969 მან. 32 კ. (ამ თანხაში შედის განსვენებულ ეკატერინე სარაჯიშვილის შემოწირულება 120000 მანეთი), მთავრობის დახმარება სკოლების შესანახათ გამოიხატება 30000 მანეთში. საზოგადოების ქონება ე. ი. საგანგებო თანხები უდრის ფულათ 404360 მან. 32 კ. უძრავ მამულათ 60587 მ. 33 კ.

გამომცემლობაზე: წიგნების ბეჭდვაზე საზოგადოებას დაუხარჯავს 361,008 მ. 83 კ. ამავე წელს მიუღია დაბეჭდილი წიგნი ღირებული 367827 მან. 03 კ. საზოგადოებას საწყობში აქვს თავისი გამოცემა (როგორც თითონ დაუჯდა) და საკომისიო პროცენტ დაკლებით ღირებული 252480 მან. 28 კ. აგრეთვე. წიგნის მაღაზიაში ღირებული 47571 მან. პროცენტიანი ქაღალდები საზოგადოებას 1919 წლ. 1 იანვრისთვის ნომინალი ფასით 198913 მან. 50 კ. ნასყიდობით კი 175501 მ. 44 კ. საზოგადოების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია შემდეგ ციფრებით: შემოსავალი უდრის 611341 მან. 32 კ. გასავალი 606253 მან, 11 კ. მოსალოდნელი ნაშთი უდრის 5088 მან. 21 კ. საანგარიშო 1918 წელს საზოგადოებას სკოლები შეუნახავს ათ ალაგას, ხოლო ბიბლიოთეკები ას ალაგას.


## განცხადებანი:

**დაიბეჭდა ახალი წიგნი.**

**გრიგოლ ვეშაპელის სიტყვები ნათქვამი პარლამენტში**

[ეროვნულ საბჭოში]

1. დამოუკიდებლობის გამოცხადება
2. მთავრობის საპასუხო დეკლარაცია
3. საქართველოს დროშა
4. ომი სომხებთან
5. ზავი სომხებთან
6. მიწის საკითხი

**ფასი 3 მანეთი.**

წიგნის საწყობი:
,,კლდის'' რედაქცია, თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართულ კლუბთან, ტელ. 18—31.

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.**

**სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ**

**თეატრი და ცხოვრება-ზე.**

წელიწადი **მეშვიდე** გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

**ახალი სამეურნეო მანქანა**

დამზადდა და გამოვიდა ბაზარზე გასაყიდათ ინჟ. გრ. ჩხეიძის მიერ მოგონილი საგანგებოთ ჩვენი ვენახებისათვის გოგირდის შესაყრელი მანქანა სისტემა „ბუქი"-ს სახელით, მანქანა გამოცდილია და მოწონებული სამეურნეო საზოგადოებისა და თფილისის სამაზრო ერობის მიე დაკვეთა შეიძლება. თფილისი, გოლოვინის პროსპექტი. სავაჭრო სახლი ,,კომმერსანტი''.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა მიხეილის პროსპექტი, სახლი კერერისა № 64, ტელ. 14—60.


## მატარებლების მიმოსვლა

**მიდის [illegible]**

[illegible]

მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან—ღამის 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
ფოთში —— დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან—დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში —— ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მან.

**ქ უ თ ა ი ს შ ი:**

მ. № 9 სამგზავრო საღამოს— 10 ს. 30 წ.
ქუთაისში მივა დილის — 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

**ბ ო რ ჯ ო მ შ ი:**

№ 19 სამგზავრო დღის 3 ს. 30 წ.
გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
ბორჯომში მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

**ბ ა ქ ო შ ი:**

მ. № 4 საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.
მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის 3 ს. 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე პლაცკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ყარსისაკენ—ერევანში:**

მ. № 4 საფოსტო დღის — 1 საათ. 40 წ.
ამას გარდა კვირა უქმე დღეებში

**მ ც ხ ე თ ა შ ი:**

მ. № 61 დილის — — — 7 საათ. 37 წ.
მ. № 63 — — — — — — დღის 3 ს.

### მოდის თფილისში.

**ფ ო თ ი დ ა ნ:**

მ. № 2 სასწრაფო დილის 9 საათ. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღამ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათ. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

**ქ უ თ ა ი ს ი დ ა ნ.**

№ 12 დილის — — — — 8 ს. 15 წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.

**ბ ო რ ჯ ო მ ი დ ა ნ.**

№ 20 დილის — — — — 7 ს. 20 წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამის 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ.**

მ. № 3 საფოსტო დღის — — 4 ს. 30 წ.
№ 5 სასწრაფო დილის — — — 7 ს.
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
№ 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ნახჩევანიდან და ყარსიდან.**

მ. № 3 საფოსტო დილის — 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

**მ ც ხ ე თ ი დ ა ნ.**

№ 62 დილის — — — 11 ს. 10 წ.
№ 64 საღამოს — — — 7 ს. 20 წ.

### კახეთის რკინის გზის

**მატარებლების მიმოსვლა პირველ მაისიდან**

**თფილისიდან—მელაანამდე.**

საავარაკო მატარ. № 16. თფილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 ს. და 50 წუთზე.

საავარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 ს. და 40 წუთზე.

**თფილისიდან თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4 თფილისიდან გადის დილის 10 ს. თელავში მიდის 7 ს. და 35 წ.

**თელავიდან—თფილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 ს. და 30 წ. მელაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თფილისში საღამოს 7 ს. და 15 წ.

**გურჯაანიდან—წყნორის წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 ს. წყნორის-წყალში მიდის საღ. 7 ს.

**წყნორის-წყლიდან—გურჯაანამდე.**

მატარებ. № 5. წყნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 ს. და 50 წ. გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა ,,ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის'' გოლოვინის პროსპ. № 26.